საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ ჩვენს შპს „აგროლაზიკა"-ს (420426854) სარგებლობაში(იჯარა) არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია - **43.01.51.014**, ვაპირებთ გავაშენოთ ხეხილოვანი და კენკროვანი კულტურების სანერგე მეურნეობა 5000 m^2–ზე. ხეხილის ბაღის წყალმომარაგების მიზნით დაგეგმილია მდ. ენგურის შენაკადიდან წყლის აღება, რომელიც სანერგემდე მიყვანის მიზნით ითვალისწინებს მცირე ზომის სარწყავი სისტემის მოწყობას.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი''-ს II დანართის პირველი პუნქტის, 1.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სანერგე მეურნეიბის სარწყავი სისტემით უზრუნველყოფის მიზნით დანართის სახით წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი - სკრინინგის ანგარიში
სქემატური რუკა (აეროფოტო)
მიწის საკუთრების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 8331
07 06 2019
1/3

პატივისცემით
შპს „აგროლაზიკა"-ს დირექტორი
ირაკლი აბრალავა (19001014745)

05.06.2019 წ